სახელმწიფოს მზაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასასაქმებლად

ნატო ჩიკვილაძე,
სტუ-ს პროფესორი
ნინო ანანიაშვილი
სტუ-დოქტორანტი

ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია შემოსავალი, რომლის ადეკვატური რაოდენობა განსაზღვრავს ცხოვრების ხარისხს, ფიზიკურ და ემოციურ კმაყოფილებას, ჯანმრთელობას და ფსიქო-სოციალურ სტატუსს. არსებობს ვალდებულებები, რომელთაც თავს ვერ ავარიდებთ, როგორიცაა კომუნალური გადასახადები, კვება, სამედიცინო მომსახურება ... და არსებობს ადამიანური მოთხოვნილება, როდესაც მას თავად სურს თავისივე ცხოვრება დატვირთოს სამუშაოთი, რომლის შესრულებასაც უნდა მოსდევდეს შესაბამისი მატერიალური ანაზღაურება.

საკვანძო სიტყვები: შემოსავალი, შშმ პირები, დასაქმება, უმუშევრობა.

STATE READINESS TO EMPLOY PEOPLE WITH DISABILITIES

Nato Chikviladze,
Professor of GTU,
Nino Ananiashvili
Ph.D. student of GTU,

Economic incomeis amain factor of anyhuman being life which identifies the quality of life, physical and emotional satisfaction, health and psycho-social status. There are liabilities that cannot be avoided, such as utility bills, meals, medical services ... and there is a human need when he/she wants employment to be his life-style, which should be followed by the appropriate material remuneration.

Keywords: income, people with disabilities, employment, unemployment.

შესავალი

ფინანსური დამოუკიდებლობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემად გვევლინება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთა დასასაქმებლადაც სახელმწიფო მზაობა საქართველოს მასშტაბით საგანგაშოა, თუმცა პრობლემა ორმხრივია, რადგან თავად შშმ პირებიც ხშირად ამბობენ უარს დასაქმებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა მსოფლიო მასშტაბით პრობლემას წარმოადგენს, რადგან ზუსტი მონაცემები მათ რაოდენობაზე არც ერთ ქვეყანას გააჩნია, თუმცა ევროკავშირის ციფრები ყველაზე ახლოს არის მთლიანი სურათის წარმოსადგენად. ევროკავშირში 28 ქვეყანა და 500 მილიონი ადამიანია, საიდანაც შრომის ასაკის მქონე ადამიანთა რიცხვი წარმოადგენს 328 მილიონს, რაც მოსახლეობის 65.7%-ია. (15-64 წელი). შრომის ასაკის ადამიანებში შშმ პირები 13%-ს შეადგენს.

მთელი რიგი კანონები და კონვენციები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე განსაზღვრავენ და აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარუფლებიანობას დასაქმების სფეროში, მაგრამ საქართველოში არსებობს დაბრკოლებები, რომელთა გადალახვის გარეშე შეუძლებელია სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანების დასაქმება. მთავარ დაბრკოლებად სახელდება არაადაპტირებული გარემო, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ ბარიერებს: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გადასაადგილებელი გარემო (ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, შენობები ...), სამუშაოზე ხელმისაწვდომობა (შესაბამისი კვალიფიკაციის ან განათლების არქონა, ინტერნეტ სივრცის არაადაპტირებულობა და სხვა) ... და ამასთანავე, სოციალური გარემო, როდესაც დამსაქმებელს არ ჰყავს ასისტენტი, რომელიც დაეკონტაქტება დასაქმებულს ჟესტების ენაზე, არ გააჩნია მასალა მცირემხედველთათვის, სამუშაო ადგილზე არ არის პირველადი დახმარების სამედიცინო აღჭურვილობა ...

მეორე უმთავრესი ბარიერი შშმ პირების დასაქმებისას არის მათი კვალიფიკაციის და განათლების არასათანადო დონე, რადგან განათლების სისტემა არ არის შესაბამისად ინკლუზიური. სწორედ იმიტომ, რომ განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევების ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ სისტემური სახის პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, რადგან სასწავლებლებში კვლავ გვხვდება ფიზიკური გარემოს არამზაობა.

შშმ პირების უმრავლესობა დასაქმებულია ქოლ-ცენტრში, რადგან კონკრეტულ განათლებას ან გადამზადებას არ მოითხოვს მოცემული პოზიცია, მაგრამ დამსაქმებლის განცხადებით, მუშაობის ხარისხი დაბალია, რადგან ხელისშემშლელი ფაქტორია უცხო ენების არცოდნა, რაც ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია დაკავებული პოზიციიდან გასათავისუფლებლად.

ზემოთ განხილული პრობლემების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იშვიათად

თუ იკავებენ მოწინავე პოზიციებს. სახელმწიფო სტრუქტურაში არის რამდენიმე მაგალითი, როდესაც წამყვან პოზიციებზე დასაქმებულია სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანი, როგორიცაა მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლების მქონე პირთა საკითხებში ან ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის სამსახურის თანამშრომელი.

მიუხედავად გარემოს შეუსაბამობისა, ქვეყნის მასშტაბით მაინც ხორციელდება მიმდინარე სახელმწიფო პროგრამები შშმ პირების დასაქმების ხელშესაწყობად, როგორიცაა:

- **დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა**

პროგრამის ბენეფიციარები 2017 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან (თავად პროგრამა 2016 წელს ამოქმედდა). სახელმწიფოსა და დამსაქმებელს შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან დასაქმების კონსულტანტები აწარმოებენ მოლაპარაკებებს, ამზადებენ სამუშაო გარემოს, არჩევენ შესაბამის კადრებს დამსაქმებლის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე და მაქსიმალურად უზრუნველყოფენ დასაქმებული შშმ პირების გაძლიერებას, რათა მათ შეძლონ მოპოვებული სამუშაო ადგილის შენარჩუნება.

სააგენტოს გააჩნია სტაჟირებისა და სუბსიდირების პროგრამა. სტაჟირება ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის, იქნება ეს სრულიად ჯანმრთელი თუ ჯანმრთელობის რაიმე პრობლემის მქონე ადამიანი, რომელიც გრძელდება 1-3 თვემდე, რაც დამოკიდებულია სტაჟიორის შესაძლებლობაზე, თუ რა ვადაში აითვისებს საჭირო უნარ-ჩვევებს. სტაჟირების ხანგრძლივობა ანაზღაურებადია და თვეში 200 ლარიანი სტიპენდიით განისაზღვრება, რომელიც არ იბეგრება. დამსაქმებლის ვალდებულებაში 2019 წელს ჩაიდო ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც ერთ ვაკანტურ ადგილას განაცხადს აკეთებს სამი სტაჟიორი, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად საქმდება მინიმუმ 6 თვის ვადით. სხვა სტაჟიორების დასაქმება დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და ხშირია შემთხვევა, როდესაც სამივე სტაჟიორი საქმდება.

სუბსიდირების პროგრამა გათვალისწინებულია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და 29 წლამდე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ახალგაზრდებზე, როგორებიც არიან ჯანმრთელობის პრობლემის არმქონე, მაგრამ სოციალურ ჯგუფს მიკუთვნებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, ძალადობის მსხვერპლი ... სოციალური მომსახურების სააგენტო დამსაქმებელთან 50%-იანი წილში შესვლით უკლებლივ ყველა კადრს უხდის ხელფასს 6 თვის მანძილზე. სააგენტოს მაქსიმალური თანხა, რომელიც შეადგენს გადასახდელ ნახევარს არის 470 ლარი. მაგალითად, თუ სამუშაო ხელფასი არის 800 ლარი, პირველი ოთხი თვე სააგენტო ხელფასის სახით იხდის 400 ლარს, ხოლო შემდეგი 6 თვე დამსაქმებელი იხდის თავის წილ 400 ლარს, რასაც ემატება სააგენტოს მიერ გადახდილი დანარჩენი 400 ლარიც, რაც 10 თვიან გარანტირებულ დასაქმებას გულისხმობს.

- **სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაბალკონკურენტუნარიანობის დაძლევა მოთხოვნად პროფესიებზე, კონკრეტულად - დასაქმების შესაძლებლობის მქონე შშმ ადამიანების პროფესიული მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სპეცუნარების გამომუშავება, რომელიც ხორციელდება სტაჟირებით ან/და კურსებით, რაც საბოლოოდ მათ დასაქმებას ემსახურება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დამატებითი მომსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც გულისხმობს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების, მომზადება-გადამზადების და სტაჟირების პერიოდში საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებითი მომსახურების (სპეც-პედაგოგი, ტრანსპორტირება, ჟესტური ენის თარჯიმანი ...) ანაზღაურებას.

ბენეფიციარს გადაეცემა წინასწარ შედგენილი პროფესიების სია და არჩევის შედეგად, წინასწარ განსაზღვრულ შესაბამის შენობაში გაივლის 2-4 თვემდე საგანმანათლებლო კურსს. თითოეულ მონაწილეზე გამოყოფილია 1.500 ლარიანი ვაუჩერი. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გადაეცემათ მოქმედი სერთიფიკატი.

- **სტაჟირების პროგრამა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების მიზნით სტაჟირების პროგრამა მუშაობს. სტაჟირებაში მონაწილე პირებზე გამოიყოფა სახელმწიფო სტიპენდია - 200 ლარი, რომელიც ერიცხება ბენეფიციარს 3 თვის მანძილზე. სამწუხაროდ, სტაჟირება ერთჯერადია, მაგრამ პირობის შესაბამისად, დამსაქმებელი მინიმუმ ერთ სტაჟიორს იტოვებს თანამშრომლად არანაკლებ მომდევნო 6 თვით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მონდომებულნი არიან იქონიონ შემოსავლიანი სამსახური, არ ერიდებიან ფიზიკურ თუ გონებრივ შრომას, მაგრამ თავად აღმოჩნდებიან ხოლმე დილემის წინაშე რამდენიმე საკითხის გამო, კერძოდ:

საარსებო შემწეობა - იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულ შშმ პირს საბანკო ანგარიშზე მუდმივად აისახება შემოსავალი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ თავიდან ამოწმებს ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბანკო ბრუნვა თვიურად მინიმალური - 200 ლარია, ოჯახს უწყდება სოციალური პაკეტის მიღება, რომელიც ხშირად ერთად-ე-

რთი სტაბილური შემოსავალია, რაც საბოლოოდ დასაქმების მოტივაციას კლავს და შშმ პირი თავად ამბობს უარს სამსახურზე.

მეორე პრობლემას წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადებიდან გათავისუფლება დასაქმებული შშმ პირების. კანონის თანახმად, წლიური შემოსავალი თუ არ აღემატება 6.000 ლარს, დასაქმებული შშმ პირი თავისუფალი უნდა იყოს საშემოსავლო გადასახადებიდან, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პირი დასაქმებულია ორ მცირეხელფასიან სამსახურში, მაშინ მხოლოდ ერთი დამსაქმებლისგან მიღებული ხელფასის დაბეგვრისგან არის თავისუფალი.

სოციალური საწარმოები განიხილება, როგორც ძირითადი სფერო შშმ პირების დასასაქმებლად, რომელიც ყოველდღიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც. 2013 წელს თუ 5 სოციალურ საწარმოს ჰქონდა პროექტი განსახილველად წარდგენილი, 2018 წელს 50-ს გადააჭარბა მათმა რაოდენობამ.

ქვოტირების სისტემის მესამე მოდელის - ვალდებულება მკაცრი სანქციებით - დაფუძნება საქართველოში შშმ პირთა დასაქმების პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზად გვევლინება, რადგან მკაცრი სანქციები მნიშვნელოვნად შეამცირებს მათი უმუშევრობის დონეს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო მზაობა დაბალია საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების აქტიური ცხოვრების ხელშესაწყობად და პრობლემაც კომპლექსური ხასიათისაა, რადგან ინკლუზიური განათლება, მოსახლეობის და დამსაქმებლის ცნობიერების დონის ამაღლება, სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება, ფინანსური წახალისება, ბიზნესისა და სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა, შშმ პირების სამუშაო ძალად აღიარება, სოციალური პაკეტის შენარჩუნება და გარემოს ადაპტირება არის ის სამუშაო აუცილებლობა, რომელიც შექმნის ქვოტირების სისტემის მზაობას, რაც საბოლოო ჯამში დადებითი ცვლილება იქნება სახელმწიფოსთვის, რომელსაც ეყოლება მეტი დასაქმებული მოქალაქე, რომელიც გადაიხდის გადასახადებს, შეიტანს წვლილს წარმოებასა და მშპ-ში, თავად იქნება საკუთარი ცხოვრების განმგებელი და არ დააწვება „ტვირთად“ საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს, შემცირდება უმუშევრობის დონე, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია და გაიზრდება მოქალაქეობრივი ჩართულობა, რომელზეც პასუხისმგებლობა აქვს აღებული სამთავრობო ხელისუფლებას სხვადასხვა დოკუმენტის მიხედვით. ასევე, გამოსწორდება საზოგადოებრივი ფონი უმუშევრობის მიერ გამოწვეული სტრესის შემცირებით, რასაც საბოლოოდ ჯანსაღი მომავლისკენ და ეკონომიკური სტაბილურობისკენ მივყავართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში, 2019
https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities

2. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა, 2019
http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1215

3. World report on disabilities, 2019
https://www.who.int/disabilities/world_report/2011/report/en/

4. Quota System for Disabled People, 2019
https://www.euro.centre.org/publications/detail/408

5. Convention on the Rights of Persons with Disabilities (CPRD), 2019
https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities.html

6. The Criteria for Solid Impact Evaluation in Social Entrepreneurship; Tuuli Parenson; 2019
https://emeraldinsight.com/doi/abs/10.1108/17465681111105823